

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (დასკანერებული)	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება (დასკანერებული)	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (დასკანერებული)	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება(დასკანერებული)	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-19

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ერთეული ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	999,716	1,003,267	1,042,213
არამატერიალური აქტივები		6,934	7,667	8,440
გაცემული სესხები	10	1,134,997	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,141,647	1,010,933	1,050,653
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	220,536	160,230	161,368
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	31,545	52,568	52,561
მისაღები პროცენტი	10	102,929	-	-
საგადასახადო აქტივი		-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	178,619	912,660	55,308
სულ მიმდინარე აქტივები		533,629	1,125,459	269,238
სულ აქტივები		2,675,275	2,136,392	1,319,890
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		971,387	621,118	505,977
სულ კაპიტალი		971,387	621,118	505,977
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	1,433,015	1,291,713	779,552
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,433,015	1,291,713	779,552
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	270,873	223,561	34,361
სულ მიმდინარე ვალდებულებები		270,873	223,561	34,361
სულ ვალდებულებები		1,703,888	1,515,274	813,913
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,675,275	2,136,392	1,319,890

ხელმოწერილი პირები:

სახელი გვარი - დირექტორი



სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	999,716	1,003,267	1,042,213
არამატერიალური აქტივები		6,934	7,667	8,440
გაცემული სესხები	10	1,134,997	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,141,647	1,010,933	1,050,653
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	220,536	160,230	161,368
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	31,545	52,568	52,561
მისაღები პროცენტი	10	102,929		
საგადასახადო აქტივი		-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	178,619	912,660	55,308
სულ მიმდინარე აქტივები		533,629	1,125,459	269,238
სულ აქტივები		2,675,275	2,136,392	1,319,890
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		971,387	621,118	505,977
სულ კაპიტალი		971,387	621,118	505,977
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	1,433,015	1,291,713	779,552
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,433,015	1,291,713	779,552
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	270,873	223,561	34,361
სულ მიმდინარე ვალდებულებები		270,873	223,561	34,361
სულ ვალდებულებები		1,703,888	1,515,274	813,913
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,675,275	2,136,392	1,319,890

ხელმოწერილი პირები:

მიხეილ ცოგოშვილი

სახელი გვარი - დირექტორი

თამარ ოთარაშვილი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)
სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ერთეული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი	13	2,816,726	2,283,284
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	14	(1,396,172)	(1,361,097)
საერთო მოგება/(ზარალი)		1,420,554	922,187
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები სხვა შემოსავალი	15	(996,190)	(749,325)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(996,190)	(749,325)
ფინანსური შემოსავალი	10	102,929	-
ფინანსური ხარჯი	11	(74,442)	(25,513)
ზარალი საკუროს სხვაობიდან		(91,738)	(13,891)
არასაოპერაციო ხარჯები		(14,295)	(20,638)
არასაოპერაციო შემოსავლები	16	3,451	2,321
მოგება დაბეგვრამდე		(74,094)	(57,721)
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		350,269	115,141

ხელმომწერი პირები:

სახელი გვარი - დირექტორი



სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(ერთეული ლარი)

საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
-----------------------	----------------------	-----------------

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)

სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი	13	2,816,726	2,283,284
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	14	(1,396,172)	(1,361,097)
საერთო მოგება/(ზარალი)		1,420,554	922,187
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(996,190)	(749,325)
სხვა შემოსავალი			-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(996,190)	(749,325)
ფინანსური შემოსავალი	10	102,929	-
ფინანსური ხარჯი	11	(74,442)	(25,513)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(91,738)	(13,891)
არასაოპერაციო ხარჯები		(14,295)	(20,638)
არასაოპერაციო შემოსავლები	16	3,451	2,321
მოგება დაბეგვრამდე		(74,094)	(57,721)
მოგების გადასახადი			-
წლის წმინდა მოგება		350,269	115,141

ხელმოწერი პირები:
მიხეილ ცოგოშვილი

სახელი გვარი - დირექტორი

თამარ ოთარაშვილი



სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი


ბალანსი 31 დეკემბერი 2017	505,977	505,977
მოგება წლის განმავლობაში	115,141	115,141
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	621,118	621,118
მოგება წლის დასაწყისში	350,269	350,269
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	971,387	971,387

შპს „FOOD7“ (ს/კ 400074735)
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 (ერთეული ლარი)

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-194,906	305,472
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-41,118	39,719
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-498,017	512,161
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-734,041	857,352
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	912,660	55,308
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	178,619	912,660

ხელმოწერილი პირები:


 სახელი გვარი - დირექტორი



 სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	-	505,977	505,977
მოგება წლის განმავლობაში		115,141	115,141
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი			-
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	-	621,118	621,118
მოგება წლის განმავლობაში		350,269	350,269
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი			
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	971,387	971,387

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-194,906	305,472
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-41,118	39,719
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-498,017	512,161
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-734,041	857,352
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	912,660	55,308
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	178,619	912,660

ხელმოწერი პირები:
მიხეილ ცოგოშვილი

სახელი გვარი - დირექტორი

თამარ ოთარაშვილი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „Food 7“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2013 წლის 17 იანვარს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის დირექტორი და 100% წილის მფლობელი არის:

მესაკუთრე	წილი
მიხეილ ცოგოშვილი (პ/ნ 01021007479)	100%
_____	-
_____	-
_____	-
	100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების, საცხობი და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება-რეალიზაცია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მის.: ქ. თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, თემქა, III მ/რ, IV კვ., კორ. 53, ბ. 19.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0701

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) 2018 წლის რედაქციის მიხედვით. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე ფილადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას, რომელსაც გააჩნია განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა და მას არ ერიცხება ცვეთა. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
საწარმოო საშუალებები	5
ავტომანქანები	5
ელ. მოწყობილობები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საგადასახადო კანონმდებლობაში გახორციელებული ცვლილებების გამო გადავადებული მოგების გადასახადი არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება ფიფო მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველი ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება

მცირდება გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯებით. გაუფასურების ზარალი პირდაპირ აღიარდება მოგება-ზარალში.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	საწარმოო საშუალებები	ავტომანქანები	ელ. მოწყობილობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
ისტორიული ღირებულება						
2019 წლის 1 იანვარი	804,000	324,580	50,866	17,105	35,861	1,232,412
შემოსვლა	-	29,345	-	5,038	2,452	
გასვლა	-	-	-	-	-	
2019 წლის 31 დეკემბერი	804,000	353,925	50,866	22,143	38,313	1,269,246
დაგროვილი ცვეთა						
2019 წლის 1 იანვარი	-	(187,963)	(14,443)	(10,768)	(15,971)	(229,145)
ცვეთის ხარჯი	-	(30,744)	(4,578)	(1,539)	(3,524)	(40,385)
გასვლა	-	-	-	-	-	
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(218,707)	(19,021)	(12,307)	(19,494)	(269,530)
საბალანსო ღირებულება						
2019 წლის 1 იანვარი	804,000	136,617	36,423	6,337	19,890	1,003,267
2019 წლის 31 დეკემბერი	804,000	135,217	31,845	9,836	18,818	999,716

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის დეკემბერი
 (ერთეული ლარი)

7. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
საქონელი	197446	145,876	143,466
მცირეფასიანი	19998	10,735	15,028
დამხმარე მარაგი	5	3,429	1,657
საწვავი	668	(0)	1,071
სხვა საწარმოო მარაგი	2418	189	147
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	220,536	160,230	161,368

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო მოთხოვნები	21790	36,381	32,203
გაცემული ავანსები		-	-
სხვა საგადასახადო აქტივები			6,521
სხვა მოთხოვნები	9754	16,187	13,837
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31545	52,568	52,561

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
თანხა ბანკში	10830	788,497	19,452
თანხა სალაროში	167789	124,164	35,857
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	178619	912,660	55,308

10. გაცემული სესხები

ორგანიზაცია	საწყისი თარიღი	დაფარვის თარიღი	საპრ. განაკვეთი	ვალუტა	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
შპს საოჯახო კვება	09,01,2019	09,01,2029	10.00%	GEL	302507	-	-
შპს საოჯახო კვება	03,01,2019	03,01,2029	9.00%	USD	478489	-	-
შპს საოჯახო კვება	11,12,2019	11,12,2029	7.30%	EUR	354001	-	-
სულ გაცემული სესხები					1134997	-	-
მისაღები ძირი					-	-	-

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის დეკემბერი
 (ერთეული ლარი)

მისაღები პროცენტები

102929

-

-

11. სესხები

ორგანიზაცია	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპრ. განაკვეთი	ვალ უტა	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
სს ტერაბანკი - სესხი #TB.0368497.001-001 [160,000 USD / 7.00% / 25.12.17]	12/25/2017	12/27/2021	7.00%	USD	223,332	332,116	409,552
დამფუძნებლის სესხი - [370,000 GEL / 0% / 25.12.17]	12/25/2017	12/25/2021	0.00%	GEL	-	170,000	370,000
სს ტერაბანკი - სესხი #TB.0368497.001-002 [295,000 USD / 7.50% / 31.12.18]	12/31/2018	12/25/2028	7.50%	USD	-	789,597	-
სს ტერაბანკი - სესხი #TB.0368497.001-003 [371000 EUR/5.3% / 10.12.19]	12/10/2019	12/10/2029	5.30%	EUR	1,209,683	-	-
სულ სესხები					1,433,015	1,291,713	779,552
ძირი					1,433,015	1,291,713	779,552
პროცენტი					74,442	25,513	-

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
მიღებული ავანსები	-	472	1,175
სავაჭრო ვალდებულებები	237,035	211,112	33,185
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	1,286	11,977	-
სახელფასო ვალდებულებები	32,552	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	270,873	223,561	34,361

13. შემოსავალი

შემოსავალი	31-დეკ-19	31-დეკ-18
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	2816726	2,283,284
შემოსავალი მომსახურებიდან	-	-
სხვა შემოსავალი	-	-

შპს „FOOD 7“ (ს/კ 400074735)
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის დეკემბერი
 (ერთეული ლარი)

სულ შემოსავალი	2816726	2,283,284
----------------	---------	-----------

14. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	31-დეკ-19	31-დეკ-18
საქონლის თვ.ღ.	1325103	1,030,884
პირდაპირი ხელფასები	71069	330,213
სულ თვითღირებულება	1396172	1,361,097

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკ-19	31-დეკ-18
ხელფასები	495708	301,719
საპენსიო ხარჯი	12703	-
იჯარის ხარჯი	233783	142,823
კომუნალური ხარჯები	49386	98,318
მივლინების ხარჯები	3254	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	41118	71,509
საოფისე ხარჯები	30394	22,242
კომუნიკაციის ხარჯები	12872	13,493
საწვავის ხარჯი	23356	17,080
ავტომობილების დაზღვევის ხარჯი	2260	-
მიწოდების ხარჯი	60	1,688
მარკეტინგული ხარჯი	2947	2,549
ადმინისტრაციული	25449	24,703
საკონსულტაციო ხარჯები	34500	19,000
რემონტის ხარჯი	28399	34,201
წარმომადგენლობითი	-	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	996190	749,325

16. არასაოპერაციო შემოსავლები

2019 წელს კომპანია პერიოდულად აწარმოებდა ინვენტარიზაციას, რის შედეგადაც ზედმეტად აღმოჩენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგი არასაოპერაციო შემოსავალში იქნა აღებული. ასევე კომპანიის მიერ გაცემული სესხიდან მისაღები შემოსავალიც აღიარებულია როგორც არასაოპერაციო შემოსავალი.

17. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში მოგების გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, მოგების გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის მოგების გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ არის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც საგადასახადო მიზნებისათვის ითვლება მოგების განაწილებად, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ეკონომიკური შინაარსის ხარჯები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 მოგების გადასახადის ფარგლებს მიღმა და იწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

18. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ჰქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია, რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორცაც წარსულში არ ჰქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არსებობა არ დაფიქსირებულია.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულია.